ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა **1901** ხუთშაბათი, 29 ნოემბერი № 1655

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію «Цнобисъ-Пурцели»—«Моамбе». ტელეფონი № 372.**

ხუთშაბათს, 29 ნოემბერს 1901 წელს

ქართული თეატრი

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება
თ. აკაკი წერეთლის, კ. ყიფიანის და სხვათა მონაწილეობით
« მ. მ. გამყრელიძის საბენეფისოდ »
პირველად ახალი პიესა

I
შვილის ცოდოსათვის
დრამ. ეპიზოდი, 3 მოქმ. სპარსელების მფლობელობის დროიდან ვ. გუნასი.

II
არივ-დარია
კომედია ხუმრ. 1 მოქმ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. გაბუნია-ცაგარლისა, ტასო აბაშიძე, ჩერქეზიშვილი, კარგარეთელი, ნებიერიძისა, მდივანი; ბ.ბ. გუნია, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, აწყურელი, ურუშაძე, მირიანაშვილი, იმედაშვილი ! სხ.

III
დივერტისმენტი

თ. აკაკი წერეთელი—წაიკითხავს თავის ახალ ლექსებს. **სოფრომ მგალობლიშვილი**—სცენებს გლეხების ცხოვრებიდან, ნ. გაბუნია-ცაგარლისა—შეასრულებს ქართულ ხმებს. კ. შათირიშვილი—იმღერებს კომიკურ კუპლეტებს, გ. ურუშაძე—წაიკითხავს გურ. სცენებს,

დასასრულ
ლეკური და კინტოური
ქლ. ჩერქეზიშვილის, დ. ცომაკურიძის და დ. აწყურელის მონაწილეობით.

დასაწყისი სწორედ 8 საათზე. ფასები ჩვეულებრივია. რეჟისორი ვ. გუნია.

კბილის საექიმო კაბინეტი
ელისაბედ რომანიშვილისა

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9 საათიდან შუადღის 2 საათ. და საღამოს 4 საათიდან 7 საათამდე. ოლგინის ქუჩის დასწვრივ ვერის თავდაღმართზე, ოსიფოვის სახლი № 1.

ქართული თეატრი
შაბათს, 1 დეკემბერს, 1901 წ.
გამართული იქმნება ქართული

კონცერტი

იმღერებს **ბ. ძოწიძის ლოტბარობით,** გურულ ტანისამოსში გამოწყობილი, ოცდაათი კაცისაგან შემდგარი ხორო. ხორო აღასრულებს ორ-სართულიან ფერხულს. **ადგილების ფასები დაკლებულია.** (3—1)

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილის—12—1, საღამოთი 6—7 ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკ. სახლი, ტელეფონი. 791.

ექიმი
პ. მ. ელიოზიშვილი

ღიღებ ყოველ დღე ავადმყოფებს (შინაგანი და საბავშო ავადმყოფობით) დილის 11—1 და საღამოთი 5—6 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, პავლოვსკის სახლი № 92.

ტფილისის კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე.

ი. ზ. ფეოდოროვი—შინაგანი და საბავშო 9—10 საათამდე.

ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ექ. ქალი მ. ხ. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 11—12 საათამდე,

ა, ზ. ბარსუკოვი. დედათა სნეულებანი ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი $1^1/_2$—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 7—8 საათამდე.

ზ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 ს-დე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) **ტელეფონი № 274.** (წლ.)

დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

27 ნოემბერი

პეტერბურგი. შეცდომის გასწორება. ჩიტადან მოსულს დეპეშაში შეცდომაა: მანჯურიის გზა საზოგადოდ ჯერ არ არის გახსნილი სახალხო მატარებლებისათვის.

27 ნოემბერს დაიწყეს სხდომები რუსეთის რკინის გზების მოძრაობის უფროსებმა იმის შესახებ, რომ გამოირკვიონ მატარებლების მიმოსვლის წეს-რიგი 1902 წ. ზაფხულისათვის.—სტუდენტმა-მედიკებმა 25 ნოემბერს თავიანთ ღარიბი ამხანაგების დასახმარებლად საღამო გამართეს. საღამოს სამხედრო მინისტრიც დაესწრო. მინისტრმა გამოუცხადა სტუდენტებს: ხელმწიფე-იმპერატორი ყოველთვის ზრუნავს სამხედრო-სამკურნალო აკადემიის ღარიბ სტუდენტებისათვის და ამიტომ ბრძანა, რომ აკადემიას 50,000 მანეთი მიეცეს და ამ ფულის სარგებელი გაჭირვებულ სტუდენტებს მოეხმარდესო. დამსწრე ახალგაზდობა დიდის სიხარულით და „ურას“ ძახილით მიეგება ხელმწიფის წყალობას.

ყიზლიარი. ყურძნის მოსავალი საშუალოზე მეტი მოვიდა; თითონ ყურძენიც კარგი იყო. ვედრო ღვინო 90 კ. იყიდება.

ვარშავა. ვარშავის ტეხნიკების საზოგადოება პროექტს ადგენს იმის შესახებ, რომ საფრანგეთთან, ბელგიასთან, ინგლისთან და შვეციასთან იქონიონ აღებ-მიცემობა; უნდათ, რომ თუ ვინიცობაა გერმანიასა და რუსეთს შუა სადამოჟნო საქმეზე უთანხმოება ჩამოვარდა, გერმანელი მეფაბრიკეებისაგან აღარ იყიდონ რა და უიმათოდ წავიდნენ იოლად. საზოგადოებამ დაადგინა, მდინარე ვისლაზე ნოვო გიორგიევსკს ახლო დიდი რკინის ხიდი აშენდესო.

ლონდონი. გაზეთ „დეილი მაილ“-ს ატყობინებენ ლორენცო-მარკეზიდან: 1902 წლის დამდეგისათვის დელაგოას რკინის გზა გაიხსნება და ყველას შეეძლება ამ გზით სიარული და სარგებლობაო.

ბომბეი. კანონერკა „პლასსი“ კოვეიტში აღარ მოდის. კრეისერი „ფოქსი“ 28 ნოემბერს გავა. იმისი შიში, ვითომ კოვეიტში ახალი უწესოება დაიწყებაო, ტყუილი შიშია.

ქრისტიანია. პარლამენტის დღევანდელ კრებაზე დილით ნობელის ჯილდოს დამრიგებელმა კომიტეტმა შეატყობინა პარლამენტს, ნობელის ჯილდო (ეს ჯილდო იმათთვისაა დანიშნული, ვინც ზავისა და მშვიდობიანობის საქმეს ემსახურება) 1901 წელს ექიმს ჰენრი დიუნანს და პარიზის პროფესორს ფრედერიკ ნასის მიუსაჯეთო, ორივეს—ჯილდოს ნახევარი მიეცემა, თითოს 104,000 ფრანკიო.

პარიზი. ქალაქ კომპიენის საბჭომ დაადგინა რუსეთის მეფე-დედოფლის აქ ყოფნის მოსაგონებლად ძეგლი დადგან.—დერულედმა გამოაცხადა: დღეიდან გაზეთ „დრაპო“-ს გამოცემას ვსპობო. ამ გაზეთის რედაქტორად თითონ დერულედი იყო. დერულედმა გამოაცხადა აგრეთვე: ამას იქით ყოველნაირად ვეცდები, რომ პლებისციტარული აზრები გავავრცელოვო. პატრიოტების საზოგადოება (ამ საზოგადოების თავმჯდომარედ დერულედია) ახალ გაზეთს გამოსცემს. გაზეთს სახელად „მონიტარ ჰებდომადერ დე ლა ლიგ დე პატრიოტ“ ერქმევა.

ნიუ-იორკი. მანაგუადან დეპეშით იტყობინებიან: ნიკარაგუას გარეშე საქმეთა მინისტრი და შეერთებული შტატების ელჩი შეთანხმდნენ იმაზე, რომ ნიკარაგუამ შეერთებულ შტატებს არხის გასაჭრელად ერთი ნაჭერი ადგილი, სიგანით 6 მილი, მისცა საუკუნო იჯარით. ამ საქმეზე პირობაც დასწერეს და ხელიც მოაწერეს.

პარიზი. პატრიოტთა საზოგადოების გაზეთ „დრაპო“-ს დღეს სიცოცხლე მოესპო, რადგანაც ცოტა ხელის მომწერლები ჰყავდა.

ლონდონ. გაზეთები იუწყებიან: დევეტმა ჰეილბრონს ახლო ორი ათასი კაცი შეჰკრიბაო. პოლკოვნიკი ვილსონი და კიტჩენერის მსროლელები ორი დღის განმავლობაში ჰხვდებოდნენ ხოლმე დევეტს. ბოლოს დევეტმა თითქმის წრე შემოავლო ინგლისელებს. პოლკოვნიკი რემინგტონი საშველად გაექანა, ერთ ღამეში 30 მილი გაიარა და ვილსონი გაანთავისუფლა. ორივე რაზმი ჰეილბრონში დაბრუნდა; ზარალი ცოტა მოსვლიათ.

(საღამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ინგლისი. ლიბერალებმა და რადიკალებმა ის აზრი გამოთქვეს, რომ ბურებს ეხლავე სრულ თვით მართველობას უნდა დავპირდეთო. კონსერვატორების გაზეთებმა უპასუხეს: ეს თვით-მმართველობა ნელ-ნელა თან და თან უნდა შემოვიღოთ და არა ერთბაშადაო. ბურები ნელ-ნელა უნდა შევაჩვიოთ ამ თვით-მმართველობასაო. ამაზე გაზ. «დეილი ნიუს» მა უპასუხათ: ბურები საუკეთესო რესპუბლიკურ წესებს არიან შეჩვეულები და თვით-მმართველობის წესებსაც კარგად იცნობენო. ორანჟეს რესპუბლიკაში, მაინც, სამაგალითო მმართველობის წესები იყო დაწესებულიო. პრეზიდენტი შტეინი თავისი ამხანაგებით ისე ჭმართავდა ამ ქვეყანას, რომ უკეთესად აღარ შეიძლებაო. ბევრ დიდს სახელმწიფოსაც მოუწყდებოდა იმასთანაო. ასე რომ თამამად შეგვიძლიან ეხლავე სრული თვით-მმართველობა მივცეთ ბურებსაო.

ამას გარდა ლიბერალები და მათი მეთაურები იმასაც ამბობდნენ, თუ გვინდა, რომ სამხრეთ-აფრიკის ომს ბოლო მოეღოს, ჩემბერლენი და ლორდ მილნერი უსათუოდ უნდა გადავაყენოთ თავ-თავიანთ თანამდებობიდანაო. ამ კაცებმა ასტეხეს ეს ომი და სანამ ამათ არ გამოვცვლით, ბურებიც წინააღმდეგობაზე ხელს არ აიღებენო.

ამ აზრს დაადგა ოპოზიციის მომეტებული ნაწილი, მაგრამ ლიბერალ-იმპერიალისტები კი სულ სხვა თვალით უყურებენ საქმეს. ესენი კემპბელ-ბანერმანის წინააღმდეგ ლაპარაკობენ და უფრო ბ-ნ ჩემბერლენს ემხრობიან და ეთანხმებიან. ლიბერალ-იმპერიალისტებსა და ლიბერალ-უნიონისტებს შუა მაინც და მაინც, მეტადრე საგარეო საქმეებში, ისეთი დიდი განსხვავება როდია. ეგ არის, რომ ჩემბერლენი თავის ჯგუფით კონსერვატორების ამხანაგობასაც არ მოერიდა, ლიბერალ-იმპერიალისტები კი ვერა ჰბედავენ ამას და ისევ ოპოზიციაში დარჩნენ, ჩემბერლენი, ასკვიტი, ედუარდ გრეი... ესენი სულ დიდებული გლადსტონის შაგირდები არიან. მეტადრე ჩემბერლენი და ასკვიტი. «დიდებული მოხუცი» შავარდნებად ჰზრდიდა, ეგონა, რომ ჩემ წმინდა საქმეს განაგრძობენო, მაგრამ მოიპოვეს თუ არა ძალა, ამ შაგირდებმა უკვავით დაიწყეს ურანტალი. ისე მეჯახედ, მძლავრად იძახიან «ურუნტ, ურუნტა»-ს, რომ სწორედ ყველას თავი შეაძულეს. მართალია, ამათ ურანტალს სხვა ქვეყნებში ბულბულის გალობად ჩასთვლიდნენ, მაგრამ ინგლისში უფრო ნაზი სმენა აქვთ, იქ უფრო ნაზ, სუფთა სიმღერასა აქვთ შეჩვეული ყური, ამიტომ ლიბერალ-იმპერიალისტების ურანტალი ბევრს ჭკუაში არ მოსდით. ინგლისში ისეთი ნამდვილი სირინოზების სიმღერა და გალობა გაუგონიათ, როგორებიც იყვნენ კობდენი, ბრაიტი და დიდებული გლადსტონი და აბა ჩემბერლენისა, ასკვიტისა და გრეის გალობა როგორღა დაატკბობს ინგლისელი კაცის ნაზ, მახვილ ყურს. თორემ, ვიმეორებ, ჩემბერლენისთანა მინისტრი ბევრ ქვეყანას ჯერ სიზმრადაც არ მოესიზმრება. სადმე ოსმალეთში ამისთანა მინისტრს რომ ეღირსნენ, სულ ფუფალასავით სალოცავი უნდა გაიხადონ, ჩოქით სალამი უნდა მიართვან.

ლიბერალ-იმპერიალისტებში ამ ბოლოს დროს მარტო ედუარდ გრეის ულაპარაკნია და თითქმის იგივე უთქვამს, რასაც ჩემბერლენი და სხვები ამბობენ ხოლმე:

«ყველას ჰგონია, რომ სამხრეთ-აფრიკის ომი, რაც შეიძლება, მალე გათავდეს, მაგრამ ინგლისი მაინც ვერას დაუთმობს ბურების რესპუბლიკებს. ეს რესპუბლიკები უსათუოდ ინგლისის სამფლობელოს უნდა შეუერთოთ. გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ბურების დამოუკიდებლობა მეტად საშიში ყოფილა ინგლისის იმპერიის ინტერესებისათვის».

დასასრულ ორატორს უთქვამს: ლორდ მილნერისთანა კაცს სხვას ვერ ვიშოვით სამხრეთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფრიკისათვისა. სამხრეთ აფრიკაში წესიერების აღდგენას მარტო მილნერი შეიძლებსო.

იქნება ლორდ მილნერი სხვა ქვეყნებში, მაგალითად, სპარსეთში, პირველი კაციც იყოს, მაგრამ ინგლისში ათასი გამოვა იმაზე უკეთესი. ედუარდ გრეის აგიწყდება ეს ამბავი; აგიწყდება ისიც, რომ რაც სპარსეთს მოუხდება, ის ინგლის თავს ლაფს დაასხამს. ასეა თუ ისე, ის კი უტყუარია, რომ ბურებს მილნერის სახელიც კი ეჯავრებათ და, ბანერმანისა არ იყვეს, სანამ ის სამხრეთ-აფრიკაში იქნება, სამხრეთ აფრიკაში სისხლის ღვრას ბოლო არ მოეღება.

ინგლისის უკიდურეს რადიკალებს, მაგალითად, ნიჭიერ ლოიდ ჯორჯს და მუშების დეპუტატებს ამ ბოლოს დროს, როგორც გაზეთებიდან ჩანს, არაფერი არ ულაპარაკნიათ ომზე, მაგრამ ამათი აზრი, მეტადრე მუშების დეპუტატებისა, კარგად ვიცით. კეირ-ჰარდიმ, ბერნსმა ერთი და ერთი თქვეს: ბურებთან ომი დიდად უსამართლო საქმეა და ინგლისმა დაუყოვნებლივ უნდა მოსპოს ეს ომი და ბურებს სრული დამოუკიდებლობა დაუბრუნოსო. კეირ-ჰარდიმ შარშან ზაფხულში ისიც კი იწინასწარმეტყველა, რომ სამხრეთ-აფრიკა უსათუოდ ხელიდან წაუვა ინგლისსაო. საზოგადოთ ყველგან, მთელ განათლებულ ქვეყნიერობაზე დემოკრატია წინააღმდეგია ძალ-მომრეობისა, ომისა და სისხლის ღვრისა.

საფრანგეთი. ეხლანდელი დემოკრატიაც იმას ცდილობს, რასაც წინანდელი გმირი ამირანი ცდილობდა: სისხლის ღვრა, სისხლის ზურის ჭამა და ბოროტება მოსპოს. ფრანგი ამირანიც მედგრათ ცდილობს, რომ საფრანგეთი ყოველ უსამართლო საქმეს მოარიდოს და დაჩაგრულ ხალხს მწუხარება და დარდი ცოტათი შეუმსუბუქოს. თვეზე მეტი იქნება მოგახსენეთ, ფრანგმა ამირანმა ამ აზრით კანონ-პროექტი შეადგინა და პარლამენტს წარუდგინა-მეთქი. ისიც მოგახსენეთ, რომ პარლამენტმა ეს კანონ-პროექტი შრომის კომისიას გადასცა განსახილველად. ამირანის პროექტი და კომისიაში გადაცემა, აბა რა საქნელი საქმეა, მაგრამ რას იზამთ!

ახალი ამბავი

◆ 26 ნოემბერს, წმ. მთავარ მოწამის გიორგის ორდენის დღესასწაულის გამო, მთავარ-მართებელმა თავ. გოლიცინმა გაუგზავნა **ხელმწიფე იმპერატორს** უქვეშევრდომილესი ტელეგრამმა მილოცვისა, რომელზედაც მოვიდა მისი უდიდებულესობის უუმოწყალესი პასუხი: **„გულოცავ წმ. გიორგის კავკასიის კავალრებს ორდენის დღესასწაულს და გულით გმადლობ მათ ერთგულის და ბრწყინვალე სამსახურისათვის. ნიკოლოზი“.**

◆ ტფილისელ სახლის პატრონთ მიუმართავთ ბ. პოლიცმეისტრისათვის, აგვიხსენით, რა პირობები უძევს მეეზოების დაქირავებას, ე. ი. რამდენს უნდა იძლეოდეს სახლი, რომ სახლის პატრონმა **საკუთარი მეეზოვე** დაიქირავოსო, ან რამდენი სახლი უნდა შეერთდეს, რომ ერთი მეეზოვე იყოლიოსო.

◆ დღეს, 29 ნოემბერს, ქართულ თეატრში დანიშნულია **საბენეფისო წარმოდგენა** დამსახურებულის და თვალსაჩინო არტისტის ვ. გამყრელიძისა. ვ. გამყრელიძის მუყაითი შრომა სამშობლო სცენისთვის, მისი კეთილსინდისიერი მოპყრობა და შეგნება საქმისა თავმდებია იმისი, რომ მადლიერი საზოგადოება არ დაიზარებს დღევანდელ ბენეფისს დაესწროს; მით უმეტეს, რომ არტისტს ამორჩევია საბენეფისოდ ახალი პიესა „შვილის ცოდოსათვის“ ვ. გუნიასი და ერთ-მოქმედებიანი კომედია „არივ-დარია“, და ამასთანავე ისიც, რომ დივერტისმენტში მონაწილეობას მიიღებენ ბ.ბ. აკაკი, ს. მგალობლიშვილი და სხვანი.

◆ გუშინ ჩვენა გვქონდა მოხსენებული, რომ **მოქალაქეთა გამგეობის ახლად დანიშნულმა მოურავმა ასიტოვმა** ტფილისის გუბერნატორს მოხსენება წარუდგინა მაზე, რომ მას არ შეუძლიან იკისროს ეს მინდობილი თანამდებობა, რადგანაც საქმეები მოქალაქეთა გამგეობაში აწეწილ-დაწეწილიაო და მოსამსახურენიც სანდონი არ არიან, რადგანაც სვამენო და ბევრი მათგანი სისხლის სამართალში არიან მიცემულნიო. ახლა „ნოვ. ობოზ.“ გადმოგვცემს, რომ, შეუტყვიათ რა ასეთი მოხსენება ასიტოვისა გუბერნატორისადმი, მოსამსახურეთ მიუმართავთ ბ. გუბერნატორისათვის გუშინ-წინ, 27 ნოემბერს, და უთხოვნიათ, რომ მათ მიეცეთ ბ. ასიტოვის მოხსენების პირი, რომ იგი, ასიტოვი, სისხლის სამართალში მისცენ.

◆ სამიწად მოქმედო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ აცნობა **ყოველ თვის დაწესებულებას**, რომ ამა წლის ხარჯთ-აღრიცხვის გადარჩენილი ფული გადაიტანონ პეტერბურგში უმთავრეს ხაზინის სამმართველოში, სამინისტროს განკარგულებაში.

◆ ამავე სამინისტროს განკარგულებით იწყება მუშაობა სარდარაბადის მინდორში ერევნის გუბერნიაში, სადაც უნდათ, რომ წყალი გაიყვანონ, რადგანაც ეს ადგილი დანიშნულია რუსეთის შუა გუბერნიებიდან გადმოსახლებულთათვის. ეხლა იქ კიდეც მუშაობენ ტეხნიკოსები კავკასიის წყლების სამართველოს ზედამხედველობის ქვეშ.

◆ კავკასიის წყალთა ინსპექტორი ბ. პეტროვი გაემგზავრა მუღანის მინდვრებში წყლის გამოსაყვან სამუშაოს დასათვალიერებლად.

◆ არ ახალია, ძველია, რომ ქალაქს მილის წყალი არამც თუ არა ჰყოფნის, ხშირად სულაც არა აქვს, რადგანაც მილები ხდება ხოლმე. ამ ნაკლულევანების თავიდან აცილებას ხშირად ცდილან, მაგრამ დღემდის კიდევ რაღაც ხუშტური წამოუვლის ხოლმე ჩვენ მილის წყალს. ეხლა, იმედია, როგორმე თავიდგან ავიშოროთ ეს მილის ცუდლუტობა, რადგანაც ინჟინერი ენფიანჯიანცი ქალაქის გამგეობის წევრად დაამტკიცეს და სწორედ იმის ხელშიაც არის წყლის საქმე, მით უმეტეს, რომ ბ. ენფიანჯიანცი ერთხელ განაგებდა წყლის მილის საქმეებს და, ხომ მოგეხსენებათ, „მუნჯის ენა დედამ იცისო“.

◆ სოფელ ქვემო-მაჩხაანის (სიღნაღის მაზრა) კერძო სასოფლო საავადმყოფოს ექიმად ბ. **ტურიევი** დაინიშნა.

◆ ქ. ტფილისში ამ თვის 8-დან-16-ამდე **გამხდარა** ავად: ოთხი ყვავილით, ოთხი ქუნთრუშით, რვა დიფტერიტით და ოთხიც მუცელათი. მოკვდა ერთი წითელათ.

◆ საფრანგეთის ორი ოფიცერი-კაპიტანი პონ და პორუჩიკი პიერი, რომელთაც ტფილისი დაათვალიერეს, გაემგზავრნენ კასპის იქითა მხარეს, საიდანაც თურქესტანში გაივლიან, როგორც დავალებული აქვთ.

◆ ტფილისშიაც **ფულის სიმცირე** ჩამოვარდა არა ნაკლებ, ვიდრე ბაქოში. ზოგიერთი ფირმები ვალებს ველარ იხდიან. „ნოვ. ობოზ.“ სიტყვით, ერთს მოვაჭრეთაგანს, ქ. კ., რომელსაც ოდესმე დიდი ვაჭრობა ჰქონდა და ტფილისში კაი ფასის უძრავი ქონება, თავის მაღაზია სხვის სახელზე გადაუტანია და ამ დღეებში სრულიად გამქრალა ქალაქიდან; იმისი მოვალეები დარჩენილან ხახა-მშრალები.

◆ ამიერ კავკასიის რკინის გზების მოძრაობის უფროსმა აუწყა გზაზე მოსამსახურეთ რკინის გზების უფროსის ბრძანება, რომ სახალხო მატარებლებში მგზავრებს **ნება არა აქვთ თავისთან იყოლიონ** ცხოველები ანუ ფრინველები, როგორც ხელის ბარგი. მოძრაობის და მატარებლების რევიზორებს ებძანა, სასტიკად ადევნონ თვალი ამ განკარგულების შესრულებას.

◆ ამიერ კავკასიის რკინის გზებზედ გამოცხადებულია ცირკულიარი სახელმძღვანელოდ, რომ საქონლის გაგზავნის დროს საგზაო **დოკუმენტებში ჩაიწერონ** ხოლმე არა მარტო გვარები გამგზავნლებისა, მათი სახელიც და სრული ადრესი; ამასთანავე ყველა ეს ცნობანი უნდა ჩაიწეროს საქონლის გასაგზავნელ წიგნებში. ეს მოთხოვნილებანი ეთანხმებიან სახელმწიფო სამრეწველო გადასახადის დებულების ინსტრუქციას.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე გამოცხადებულია **წესი, როგორ უნდა გაიყიდოს ბარგი და საქონელი**, რომელთა მიღებაზედაც პატრონებმა უარი განაცხადეს. ამ წესში, სხვათა შორის, ნაჩვენებია, რომ გაყიდვის სამის დღის წინად სადგურებზე ყველა კასებთან და კანტორებში უნდა გამოიკიდოს განცხადებანი; ხოლო ამ განცხადებათა გაზეთებში დაბეჭდვა და კერძო უწყებათა გაგზავნა ადგილობრივ სავაჭრო ფირმებთან სავალდებულოდ არ არის ცნობილი, თუმცა სასურველად კი.

◆ თანახმად მუხლისა გ. პირველის დამატებისა შემის **გადასახადის ტარიფის დებულებისა**, მესამე ჯგუფის საქონელს მიეწერება შუშა, კეტები, სარები, მარგილები და სხვ., ყოველ შემთხვევაში განსაზღვრულის ზომისა. ამისათვის ამიერ კავკასიის რკინის გზათა სადგურებს ევალებათ, როდესაც გასაგზავნად მიიღებენ ზემო ჩამოთვლილ საქონელს, საგზაო დოკუმენტებში აჩვენონ ხოლმე ნამდვილი ზომა ხეებისა, თანახმად ზემო მოყვანილ ტარიფის მოთხოვნილებისა.

◆ დღევანდელ სხდომაზე ქალაქის **სასწავლებელთა გამგე-კომისიას** განსახილველად აქვს სულ 9 საქმე. სხვათა შორის, კომისიამ უნდა განიხილოს ქალაქის სკოლებში ადგილობრივ ენების სწავლების განაწილების საქმე, ხარჯთ-აღრიცხვა ქალაქის ცენტრალურ მუზეუმის დასაარსებლად და აგრეთვე შუამდგომლობა საურთიერთო დამხმარებელ მასწავლებელ ქალთა საზოგადოებისა შენობის აღმოჩენის შესახებ საზოგადო განათლების მუზეუმის დასაარსებლად.

◆ ქალაქის სასანიტარო რჩევამ დაადგინა, რომ ქალაქის პირველ დაწყებითს სასწავლებლებში შემოღებულ იქმნას **გიმნასტიკა**.—ამავე რჩევის გადაწყვეტილებით, მიკროსკოპიულად უნდა იყოს ხოლმე გამოკვლეული დაკლული **გოჭები**, რომლებიც ბაზარში ისყიდებიან.

◆ ამავე რჩევამ აღძრა კითხვა იმაზე, რომ ქალაქის ცენტრალურ საავადმყოფოში იყოს **სამი ორდინატორ-ექიმი**: თვალის ავადმყოფობისა, ყურისა და ქირურგიულისათვის, აგრეთვე მეოთხე ექიმი მარქაფად.

◆ რადგანაც ორი ექიმი ვერ ასწრობს კვირაში სამჯერ (თითო) ქალაქის სკოლების დათვალიერებას, ამიტომ სასანიტარო ინსპექტორმა დაავალა მათ, **კვირაში ორორჯელ დათვალიერება**.

◆ 27 ნოემბერს ტფილისის სამოსამართლო პალატამ გამოაცხადა გადაწყვეტილება შესახებ ხაზინისა და ბაქოელი ათაბეგ მელიქოვის დავისა. ამ საქმის გარემოება წინად გვქონდა მოხსენებული. პალატამ, სცნო რა ხაზინის უფლებანი სამართლიანად სადაო ადგილზე, სოფელ ბაზავეთის ახლო ბაქოს გუბერნიაში, ეს ადგილი ხაზინას მიუსაჯა. ამ ადგილზე, რომელიც ორ დღიურს არც კი შეადგენს, სასმელად კარგი წყაროები არის, რომელნიც დღეში 140,000 ვედროს იძლევიან. ეს წყაროები მელიქოვს ჰქონდა გამოყვანილი და მცხოვრებლებს ვედროში კაპეიკს ახდევინებდა. პალატის გადაწყვეტილებით ამ შემოსავლით ხაზინამ უნდა ისარგებლოს საქმის მოგების დღიდან.

◆ ღორის ხორცზე **ახალი ნიხრი** ქალაქის გამგეობამ გუშინ წარუდგინა დასამტკიცებლად ტფილისის გუბერნატორს.

◆ ალექსანდროპოლიდან იტყობინებიან, რომ 26 ნოემბერს იქ **თოვლი** მოსულა და ახლა ნამდვილი ზამთარი დადგაო.

◆ პირველ იანვრიდან ტფილისის საფოსტო სადგური გადადის ოლგას ქუჩაზე, სამხედრო ოლქის სასამართლოს გვერდით, სადაც აქამდის კარეტების ფაბრიკა იმყოფება.

◆ პოლიციის მე-2 ნაწილში, გოლოვინის პროსპექტზე, 27 ნოემბერს, ღამით, პოლიციის მოხელეებს დაუჭერიათ თელავის მაზრის სოფელ ყვარელის მცხოვრებნი იოსებ დავითაშვილი და საბა სტეფანაშვილი და ტფილისის მაზრის სოფ. საგარეჯოს მცხოვრები გიორგი პატუნაშვილი, რომელნიც შეიარაღებულნი ყოფილან. პოლიციას აღნიშნულნი პირნი დაუჭერია, რადგანაც იგინი შეიარაღებულნი ყოფილან საეჭვოდ და ერთი მათგანი კიდეც მიმალულა შკაფის უკან და უცებ იარაღი შემოუხსნია.

რუსეთის ქრონიკა

∝ საერო განათლების სამინისტრო მალე განიხილავს საკითხს იმის შესახებ, რომ დრო გამოშვებით ჰმართოს ხოლმე კურსები საშუალო სასწავლებლების მასწავლებელთათვის („რუს. ვედ.“).

∝ ფინანსთა სამინისტრომ დაამტკიცა ემერიტალურ კასსის წესდება პოპოვის მაუდის ფაბრიკის (ზვენიგოროდის მაზრაში) მუშებისათვის. კასსის უზრუნველ-ყოფისათვის ფაბრიკამ 100 ათასი მან. შეიტანა სახელმწიფო ბანკში. ეს პირველი მაგალითია რუსეთში, რომ თვით ფაბრიკას დაეარსებიოს ემერიტალური კასსა („ნოვოე ვრემია“).

∝ სათანადო უწყებას უკვე შეუმუშავებია პროექტი საშუალო სამეურნეო სწავლის რეფორმისა და იგი ამ დღეებში წარედგინება სახელმწიფო საბჭოს („პეტერბ. ვედომ“.).

∝ დეკემბრის შუა რიცხვებში ფინანსთა სამინისტრო განიხილავს რუსეთის რკინის გზებზე ღვინის, კონიაკის და არაყის გადასაზიდავად არსებულ ტარიფებს („პეტერბ. ვედ“.).

ბ-ნ პ. გოთუას „ღია წერილის“ გამო

„ცნობის ფურცლის“ მე-1638 №-ში დასტამბულია ბ-ნ პ. გოთუას ღია წერილი ი. გოგებაშვილის მიმართ. არა გვგონია, რომ კავკავის ქართველებში, რომელნიც კი კარგად იცნობენ აქაურს სკოლას, ბევრი თანაუგრძნობდეს ყველა იმ აზრს, რაც გატარებულია ბ-ნი გოთუას წერილში. ამ ახირებულს კინკლაობაში, რომელმაც ამდენი მითქმა-მოთქმა ასტეხა კავკავის სკოლის შესახებ დეპეშებით თუ წერილებით, რასაკვირველია, არც მე დამტოვეს უყურადღებოდ და რამდენიმე მათრახი ჩემკენაც გამოიწვდინეს. საზოგადოდ არც მე მომწონს, რომ უბრალო საქმის გამო დაუსრულებელი პოლემიკა გაიმართოს, ამიტომ არც ჩვენ შევუდგებით ბ-ნი გოთუას მიერ წარმოთქმული აზრების განმარტვას, ვიტყვი მხოლოდ ორიოდ სიტყვას ერთის საგნის შესახებ, რომელიც ასე თუ ისე შეცდომით აღუნიშნავს თავის წერილში.

შარშან კავკავის სკოლა დაათვალიერა გამგეობის წევრმა გ. იოსელიანმა და რევიზიის დროს აღმოჩნდა, რომ მეოთხე განყოფილების მოწაფეები სუსტობდნენ რუსულ ენაში, არ ჰქონდათ გავლილი იმდენი მასალა, რაც პროგრამით მოითხოვებოდა; მაგრამ ამას თავისი მიზეზი ჰქონდა და დარწმუნებული ვიყავი, რომ ბ-ნი იოსელიანი თავისს ანგარიშში ამ მიზეზსაც მოიხსენებდა. ამიტომ ჩვენ სრულიად არ გვწყენია ის, რომ გამგეობამ შარშანდელ ანგარიშში დაბეჭდა „მეოთხე განყოფილებაში რუსული ენა კოჭლობსო“, რადგანაც დარწმუნებული ვიყავი, რომ გამგეობას ეცოდინებოდა ის მიზეზი, თუ რის წყალობით იყო სუსტი მეოთხე განყოფილება წლის დასაწყისში. ბ-ნი გოთუა სწერს ამ განყოფილების შესახებ: „მეოთხე განყოფილებაში რუსულ ენას ასწავლის უფროსი მასწავლებელი· იგივე უფროსი მასწავლებელი ასწავლიდა რუსულ ენას უწინაც“. აქედან მკითხველი, ვინც საქმის გარემოება არ იცის, უსათუოდ იმ დასკვნას გამოიყვანს, რომ ეს განყოფილება სულ უფროსი მასწავლებლისა ყოფილა და მას რუსული ენის სწავლების საქმე კარგად ვერ წაუყვანიაო. ბ-ნმა გოთუამ კარგად იცის ხსენებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილების სისუსტის მიზეზები რაში მდგომარეობდა და მე მხოლოდ მიკვირს, თუ რად მომაწერა ის, რაც არ ყოფილა. ხსენებულმა განყოფილებამ, ვიდრე ჩემამდის მიაღწევდა, ორი-სამი მასწავლებელი გამოიცვალა, რომელნიც სულ სხვა-და-სხვა წესით ხელმძღვანელობდნენ სწავლების დროს. ამასთან, მეორე განყოფილებაში მა[illegible]ჰყავდა ახლად კურს-შესრულებული, სწავლების საქმეში სრულიად გამოუცდელი მასწავლებელი. ეს განყოფილება პირველს რევიზიაზედ გამოსცადა ბ-ნმა გ. იოსელიანმა და აღმოჩდნა ყველა საგნებში ცუდად მომზადებული, მაგრამ ყველაზედ უფრო ცუდათ იცოდნენ რუსული ენა, რომელშიაც ორჯელ მოვახდინეთ ეგზამენი, მაგრამ მაინც არა გამოდნა რა. მათი გადაყვანა შემდეგს განყოფილებაში შეუძლებელი იყო ცოდნის მხრით; ამ აზრს დაადგა ბ-ნი იოსელიანიც, მაგრამ, რადგანაც ყველა მოწაფეების დატოვება დიდს უსიამოვნებას გამოიწვევდა აქაურს ქართველებში და მშობლებში, ამიტომ ამ საზოგადო უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად, წინადადება შევიტანე— გადაგვეყვანა შემდეგს განყოფილებაში სულ ყველა და მე დავიკისრე მათი სწავლება. სწორედ ერთის წლის შემდეგ ეს განყოფილება ნახა ისევ ბ-ნმა იოსელიანმა. რასაკვირველია, ერთს წლიწადს ორ განყოფილებაში მეცადინეობის დროს შეუძლებელი იყო გადამეჩვია ბავშვები უკანონო გამოთქმას, გამემეორებინა მეორე წლის კურსი და მესამე წლის პროგრამაც შემესრულებინა. ამიტომ წლის დასაწყისში მეოთხე განყოფილების მოწაფეებს კიდევ ეტყობოდათ სისუსტე. მეორე განყოფილებაში რომ სუსტად მიდიოდა სწავლის საქმე, ამას ყურადღებას აქცევდა სახალხო სკოლების დირექციაც. პირველ რევიზიის დროს სახალხო სკოლების დირექტორმა მე, როგორც უფროსს მასწავლებელს, დამავალა ხელმძღვანელობა გამეწია გამოუცდელ მასწავლებლისათვის სწავლების საქმეში, მიმეცა გაკვეთილები და მეჩვენებინა კანონიერი წესები სწავლებისა. მაგრამ, რადგანაც ჩემი ჩარევა საქმეში მაშინდელმა სკოლის გამგემ სათაკილოდ მიიღო და წინააღმდეგი ურჩია გამოუცდელ მასწავლებელს, მეც იძულებული შევიქენი თავი დამენებებია ხელმძღვანელობისათვის.

მეორე განყოფილებაში რუსული ენის ცუდათ სწავლებამ გამოიწვია წადილი არა სასურველის ცვლილებისა: ყოფილმა და ახლანდელმა გამგემ სკოლისამ მხარი მისცეს ერთს არა სასურველს მოთხოვნილებას, რომლის ძალით რუსული წერა-კითხვა, ვითომ ენის კარგად შესწავლისათვის, პირველ წელსვე უნდა შემოეღოთ სკოლაში და შეეცვალათ მთავრობის მიერ დამტკიცებული სკოლის პროგრამა. მე ამ რეფორმის წინააღმდეგი ვიყავი იმ თავითვე და ვამტკიცებდი, რომ ესეთი ცვლილება მავნებელი იქნება ჩვენი ბავშვების კანონიერად სწავლებისა და აღზრდის მხრივ და მით რუსულ ენასაც ვნებას მოუტანს-მეთქი, საჭიროა მხოლოდ თავიდანვე წესიერად წარმოებდეს სწავლების საქმე და ამას ნაყოფიც სასურველი მოჰყვება-მეთქი.

რომ ცხადათ და საქმით დამენახვებინა ყველასათვის ჩემი სიტყვების სიმართლე, მეორე წელს მე თვითონ ავიღე მეორე განყოფილებაში რუსული ენის გაკვეთილები. წლის ბოლოს მოვიწვიეთ ყველანი, ვინც რეფორმის მომხრე იყვნენ, რომ ენახათ შედეგი კანონიერის სწავლებისა სკოლის პროგრამმის მიხედვით და წარსულ წელთან შედარებით, მაგრამ არავინ ინება მობრძანება. ის განყოფილება ამ ჟამად მეოთხე განყოფილებას შეადგენს, რომელსაც ეხლა მესამე წელია, რომ მე ვასწავლი და თუ ვინმე სრულიად მიუდგომელი და საქმის მცოდნე ადამიანი დაიუწუნებს მათ რუსულს ან სხვა საგნებს, მე მაშინ იძულებული შევიქმნები ჩემი მასწავლებლობის [illegible] გამოცდილება უკუ-ვაგდო და მივიღო მათი აზრი, რომელთაც სასურველად და სასარგებლოდ მიაჩნიათ ჩვენს სკოლაში პირველ დღიდანვე უცხო ენის სწავლების დაწყებინება.

ამ ნაირად იმ განყოფილების სისუსტის მიზეზი, რომელიც ბ-ნმა რევიზორმა მოიხსენია და ბ-ნმა გოთუამაც იხელმძღვანელა თავისს წერილში, სულ სხვა გარემოება ყოფილა და არა მარტო უფროსი მასწავლებელი, როგორც შეიძლება იფიქროს მკითხველმა. ეს ყველაზე უფრო ცხადი ბ-ნ გოთუასათვის უნდა იყოს და მე სრული იმედი მაქვს, რომ ამაში დამემოწმება კიდეც.

კავკავის სკოლის უფროსი მასწავლებელი.

იმერეთის სამღვდელოების მომავალ კრების გამო

მომავალ დეკემბერში ქუთაისში დანიშნულია სამღვდელოების დეპუტატების კრება. ეხლანდელი კრებები დიდად განირჩევიან იმ კრებისაგან, რომლებიც ამ ათი სუთხმეტი წლის წინათ იყო. ეხლანდელი დეპუტატები თითქმის სუყველანი სემინარიელები არიან, საშუალო სასწავლებელი გაუთავებიათ, ნაკითხი და განვითარებული პირები უნდა იყვნენ და ამიტომ მათ უფრო მეტი მოეთხოვებათ და, თუ ცოტას დაფაცურდებიან, დიდი საქმის გაკეთებაც შეუძლიათ.

უბრალო კითხვის გადაწყვეტაც ძნელია უცებ და მოუმზადებლად და თუ რთული კითხვა არის, მაშინ წინ-და წინ გაცნობა კითხვისა, მომზადება და წარმოთქმა დამწიფებულ აზრისა აუცილებელ საჭიროებას შეადგენს. რისთვის იკრიბებიან ქუთაისში სამღვდელოებათა დეპუტატნი, რა კითხვები აქვთ გადასაწყვეტი? ეს არა თუ ჩვენ, გარეშე პირებმა, არ ვიცით, თვითონ მამა დეპუტატებმაც არ იციან, მიტომ კი არა, რომ არ ესაჭიროებათ, ან არა სურთ მათ წინ-და-წინ კითხვების გაცნობა; არა, ასე არის შემოღებული ერთხელვე მოუმზადებლად მისვლა და აქამდის ასე დაიარებიან იმ დროიდან, რაც ეს კრებები დარსებულა. ამის გამო ამ კრებებზე რთული და საჭირო კითხვები ან სრულიად აუხსნელად რჩებიან, ან კითხვებს შეხებიან გაკვრით, მხოლოდ ერთ მხრივ და საქმე, როგორც რიგია, ისე არ თავდება. მე მგონია, მამა დეპუტატებმა რომ ითხოვონ, სადაც რიგია თხოვნისა, წინდაწინ გამოცხადება კითხვებისა „მწყემსში", „ივერიაში", „ცნობის ფურცელში" სამი ოთხი თვის წინათ კრებამდის, მაშინ უფრო კარგი შედეგი მოყვება სამღვდელოთა კრებას. მრავალი კითხვა აიხსნება წერილობით კრების გახსნამდის, მრავალი აზრი წარმოითქმება ამა თუ იმ კითხვის შესახებ. თუ რომელიმე საჭირო კითხვა სრულიად დავიწყებულია, ვინმე გაიხსენებს.

ნეტარ ხსენებულმა იმერეთის ეპისკოპოზმა გაბრიელმა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელს დაუტოვა საკმაო ფული მისი ქადაგების გამოსაცემად. დღეს ეს ქადაგებანი გაბრიელისა არ იშოვება საყიდლათ. კარგი იქნება იმერეთის სამღვდელოების დეპუტატთა კრება სასულიერო სასწავლებელს თხოვდეს მოკლე ხანში ამ ქადაგების გამოცემას. სასურველია, გამოიცეს პატარა წიგნაკებად, რომ უფრო ჩქარა გაიყიდოს და გავრცელდეს ხალხში; წიგნის ფასი ორი შაური, სამს არ უნდა აღემატებოდეს. წიგნაკებს დართული უნდა ჰქონდეს გაბრიელის სურათი და მოკლე ბიოგრაფია. წიგნის დაყოფა პატარა წიგნაკებათ უფრო ადვილათ შეუძლია მასწავლებელს იოსებ სანებლიძეს, რომელმაც კარგად იცის გაბრიელის ქადაგებანი, რადგანაც მან გადათარგმნა ეს ქადაგება ქართულიდან რუსულ ენაზე.

გაბრიელის ქადაგებანი, წიგნაკებათ გამოცემული, ჩქარა გავრცელდება სკოლებში და ხალხშიაც, ხალხს ახსოვს დაუვიწყარი გაბრიელ მღვდელ-მთავარი. ერთხელ ქუთაისში წიგნის მაღაზიაში შემოვიდა ოთხი სოფლელი გლეხი და მოითხოვეს საყიდლათ გაბრიელის ქადაგებანი, მაგრამ, როდესაც უთხრეს—ორ მანეთად ღირსო, ეწყინათ და უწიგნოდ წავიდნენ. დიდი ნაკლია იმერეთის ეკკლესიებისა, რომ არსად წიგნები ეკკლესიებთან სოფლებში არ იყიდება. ეხლა სოფლებში წერა-კითხვა სკოლების საშუალებით ვრცელდება. საჭირო არის მღვდლებმაც იზრუნონ და ხალხს საჭირო საკითხავი წიგნაკები მიაწოდონ.

არ არის მარტო საკმაო ხალხისათვის ეკკლესიებში წარმოთქმული ქადაგება. განათლებულმა მღვდლებმა უნდა იზრუნონ, როგორც რუსეთშია ბევრს ალაგს, გამართონ საჯარო კითხვები ხალხისათვის.

იმერელი

შორაპნისა და რაჭის მაზრის სამღვდელოების დეპუტატთა საყურადღებოდ

მომავალ 1 ქრისტეშობისთვიდან ქ. ქუთაისში იწყება იმერეთის სამღვდელოების დეპუტატთა კრება. ამ კრებაზე, სხვათა შორის, უნდა გადაწყდეს ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ორად გაყოფა, რადგან ოთხი მაზრის სამღვდელოთა შვილებს ვერ იტევს სასწავლებლის შენობა. მეორე სასწავლებელი, რასაკვირველია, შორაპნის მაზრას არ ასცდება, მხოლოდ საქმე ისაა—სად უნდა დაარსდეს იგი. სასწავლებლისთვის ადგილის არჩევა კი ასე ადვილი არაა. მიუცილებლად საჭიროა საზოგადო კრებამდი დეპუტატთაგან კერძო კრებების გამართვა, გამორკვევა იმისა, თუ რომელი ადგილი აჯობებს სასწავლებლისთვის, რომელი ყველასთვის დასამხარია და სად რომელი საზოგადოება რა შემწეობას აღმოუჩენს მომავალს სასწავლებელს; რომ ყველა დეპუტატი ამ კითხვის შესახებ მომზადებული წარსდგეს კრების წინაშე სალაპარაკოდ. ჩემის აზრით, თუ შორაპნისა და რაჭის მაზრის სამღვდელოება შეერთდება, რადგან რაჭა შორაპნის მაზრაზე უფრო ახლოა, ვიდრე ქუთაისზე, მაშინ სასწავლებლის დაარსება ს. საჩხერეში აჯობებს და აი რა საბუთით: 1) ორივე მაზრის შუა ადგილი საჩხერეა; 2) საჩხერეში არსებობს ორ-კლასიანი სამრევლო სკოლა, რომლის შესანახად უწმ. სინოდი იხდის 1700 მანეთს ყოველ წლიურად და ადვილად შეიძლება ეთხოვოს უწმინდეს სინოდს მიუმატოს ამ 1700 მანეთს დანარჩენი თანხა სასწავლებლისათვის და ეს სკოლა გადაკეთდეს ოთხ-კლასიანად, და 3) ამ სკოლას აქვს ერთი ქცევა ეზო და გვერდზე აკრავს მას სახნავ-სათესი ადგილი აზნაურის ილარიონ გამყრელიძისა, რომელიც, როგორც შევიტყვე, რამოდენიმეს ამ სკოლას სწირავს და თანაც ეკკლესიასაც აშენებს სკოლისათვის. თუ ეს სკოლა ოთხ-კლასიანათ გადაკეთდება, მაშინ ბ. გამყრელიძე სულ შესწირავს ამ ადგილს მომავალს სასწავლებელს, თუ კი სამღვდელოებაც სთხოვს მას. ასე ამ რიგად ეს საქმე აქ უფრო მოსახერხებელი და საადვილოა, ვინემ სხვაგან და, იმედია, დეპუტატთა კრება ამას ყურადღებას მიაქცევს და თუ რაჭა ქუთაისს არ მოსცილდება, მაშინ შორაპნის მაზრისთვის შუა ადგილი ჭიათურაა და იქ აჯობებს სასწავლებლის დაარსებაც. ჭიათურლებიც გვარიანად შეეწევიან სასწავლებელს თუ ფულით და თუ სხვა შეწირულებით.

საჩხერის სამრევლო სკოლის მასწავლებელი
სერგი ჯინჭველაშვილი.

პროვინცია

ქუთაისი. გულ-გრილობა, უხალისობა და მოწყენილობა ეტყობა ადგილობრივი მცხოვრების წარმომადგენლებს ყოველივე საქმეში: არ არის ისეთი საქმე, რომელსაც შეეძლოს გამოღვიძება, აღელვება ქუთაისელი მოღვაწეების; ყოველივე მოვალეობას რაღაც მოსაწყენ, სამძიმო ტვირთად უყურებს აქაური საზოგადოების წევრი. ერთად ერთი ცოცხალი ყველა წოდებისათვის ერთნაირად საინტერესო საქმე არის ქალაქის თვით მართველობის მოქმედება; მაგრამ ამ საქმესაც რაღაც აგდებულად უყურებენ ქუთაისელი მოღვაწეები. სხდომებზე მოდიან დიდის გაჭირვებით. დანიშნულია სხდომა რვა საათისათვის და ხმოსნები კი ძლივს ათი საათისათვის შეიკრიბებიან, ისეც იმდენი, რომლის ნაკლები რიცხვის დასწრებით სხდომა არ შესდგება; ამიტომაც ხშირად საყურადღებო საქმეები ორი-სამი წლით განუხილველი რჩება საბჭოსაგან. აი, მაგალითად, 26 ნოემბერს ქუთაისის საბჭომ ბ. ალექსანდრე ივანეს ძე პაპინოვის თავმჯდომარეობით მოისმინა ანგარიში სარევიზიო კომისიისა ქალაქის გამგეობის 1898 წლის მოქმედების შესახებ. რამოდენიმე-ჯერ იყო დანიშნული სხდომა ამ კითხვის გასარჩევად, მაგრამ, რადგანაც საქმე რთული იყო და მოსაწყენი, ამიტომ ყოველთვის, ჩვეულებისამებრ, შემდეგი დროისათვის იყო არა ერთხელ გადადებული. ამ ნაირად მოაწია ამ საქმემ მეორეც საუკუნეში. არც ერთი წევრი ძველი გამგეობისა აღარ დარჩენილა სარევიზიო კომისიის აზრის მოსასმენად. როგორც ვიცით, ძველი გამგეობის წევრნი ადმინისტრაციის განკარგულებით გადაყენებულნი არიან და პასუხის გებაში არიან მიცემულნი. სარევიზიო კომისია ბევრნაირ უყურადღებობის და დაუდევრობის მაგალითებს უჩვენებს საბჭოს ძველი გამგეობის მოქმედებიდან. მაგრამ ყველაზე უფრო საყურადღებო ქალაქის გადასახადების აკრეფის წეს-რიგია. საერთო ნაკლულევანება ეხლანდელი თვითმმართველობის გამგებლებისა ის არის, რომ გადასახადის გაწერა და აკრეფა რიგიანად და სასურველად ვერ აქვთ მოწყობილი: აგენტები ხშირად ბოროტ-მოქმედობენ, რადგანაც ყოველივე ანგარიშის წიგნების წარმოება მათ ხელშია. ზოგი ხმოსნები ამტკიცებდნენ, რომ აგენტებს უნდა დაევალოს გადასახადის შემოტანის გახსენება—დაჩქარება და ანგარიშის წარმოება მათ ხელში არ უნდა, იყოსო, მაგრამ ესეც მოუხერხებელი რჩება: თუ ხარჯის ამკრეფმა-აგენტმა თვითონ არ იცის საქმის გარემოება, ანგარიშები, თავის მოვალეობას ვერ შეასრულებსო. ვერც ერთი კითხვის გამო საბჭომ გადაჭრილი, გამორკვეული აზრი ვერ დაადგინა ახალი გამგეობის სახელმძღვანელოდ.

დამსწრე.

ოჩამჩირე. როცა ვაკვირდები აფხაზთა ცხოვრებას, მაკვირვებს ერთი გარემოება: როგორ არ დაეცა მთლად მატერიალურად აქამდის აფხაზის ოჯახი? როგორ და რით მაგრდება აქამდის აფხაზის კეთილ-დღეობა? რა გული მიუვა მუშაობაზე კაცს იქ, სადაც არა ხარ დაწმუნებული, შენი ნაამაგარი შენ შეგრჩება, და არა პირველ შემთხვევაზე ხელიდან არ გამოგეცლება—არ მოგპარავენ! სწორედ აფხაზეთის გარეშე მცხოვრებისათვის დაუჯერებელია ის, რაც აქ ხდება: ქურდობა საქონლისა და ცხენისა დღით, ღამით, ზამთრობით და ზაფხულობით, სულ ყოველ ჟამს! სოფელში დილით, გამოიღვიძებ თუ არა, ერთი ვაი-ვაგლახი და ყოფა გესმის: ქვრივ-ობოლთა წივილ-კივილი ცამდის ადის, მათი ცრემლი ზღვას ერთვის. აქ მოჰპარეს საცოდავს კაცს მარჩენალი მეწველი ძროხა, იქ მეორეს წაართვეს ოჯახის ბურჯი კამბეჩი, აქ კიდევ მოიპარეს ცხენი. საქონლის პატრონის მწუხარებით დამწუხრებულ სოფელს მიაქვს კივილი? ქურდს დაედევნა, სად მოეწევა? ქურდს ამდენს ტყე-ღრეში, დროებით კი არა, მთელი წლობით შეუძლია თავი შეაფაროს. მაგრამ ეს არც კია საჭირო: ერთი გაუძვრეს თვალ-და-ხელ შუა, მერე თუნდა დაუნახონ ნაქურდალი, თავსაც არ შეიწუხებს. აქ მოვიყვან შემდეგ ფაქტს: ამ სამი წლის წინად მე დავინახე შემდეგი სურათი: ერთ სოფელში გლეხის ეზოში, ზედ შარა-გზაზე ერთი ულელი ხარ-კამბეჩი მიებათ ხეზე. ეზოში რამდენიმე კაცი შეკრებილიყო. გამოკითხვით შევიტყე, რომ განთქმულ ქურდს აზ. № წინ ღამით მოეპარა მეორე საზოგადოებაში ეს კამბეჩები; პატრონი ამ სოფელში დასწეოდა, მაგრამ რას მისცემდა: სანამ პატრონმა აზ. №-ს არ ჩაუთვალა გასამრჯელოდ ხუთი თუმანი, კამბეჩები არ მისცა.— რატომ არ უჩივლებ-თქო, რომ უთხარი,—პატრონმა მიპასუხა: რა გამოვა? ერთი, არავინ არ დამიდგება მოწმედაო, რადგანაც ყველას ეშინიან მისიო,—მეორეც, სანამ კანონი მას რამეს უზამდეს, მე დედა-ბუდიანად ამომაგდებსო: გამქურდავსო და დამწვავსო.

ამ ზაფხულში მე შემთხვევა მქონდა თითქმის მთელი ზემო აფხაზეთი მომევლნა. და რა სა-

შინელი სურათი წარმომიდგა თვალ წინ! ყოველგან სოფლის საზოგადოების კანცელარიაში არის განსაკუთრებითი წიგნი, სადაც იწერება ნაქურდალი საქონელი. მე გადვათვალიერე შვიდიოდე ამისთანა წიგნი: ორთა შუა რიცხვით ექვსის თვის განმავლობაში თითო წიგნში ჩაუწერიათ 35—42-მდე ნაქურდალი საქონელი. თურმე ამ წიგნში მესამედსაც არ სწერენ, რადგანაც, ჯერ ერთი, ამ ჩაწერილიდან არაფერი გამოდის, მეორეც, აქ ჩაწერილ საქონლის ზემორე აღწერილ წესით გამოსყიდვა არ შეიძლება, მესამეც... მაგრამ კმარა, რამე ურიგო არ წამომცდეს!

ამავე წიგნში არის ცალკე რუბრიკა,—«რა დონის-ძიება მიიღო სოფლის პოლიციამო», და აი თითქმის ეს განყოფილება ყველგან ისევ თეთრად იყო, ცარიელი. ამის გამო ერთმა მამასახლისმა მითხრა: სად გვეცალა ქურდების საძებნელად და ან როგორ შეგვიძლიან იმათთან ბრძოლაო? მეც მოვინდომე მათთან ბრძოლა, მაგრამ ზედი-ზედ ცხენი და ძროხა მომპარეს, რის შემდეგაც საბრძოლველად ხელში აღებული ფარ-ხმალი დავყარეო. მეორე ტიპის სოფლის მამასახლისები ქურდებს უფრო ხელს უწყობენ, ვიდრე სდევნიან. მაგალითად, ახალ-გაზრდა მამასახლისმა X-მა მისცა მოწმობა ვიღაც გ—ს, ვითომც მას ეყიდოს ამა და ამ კაცისაგან ამ და ამ ნიშნების ერთი უღელი ხარ-კამეჩი. გ—ნმა ეს კამეჩები შეაბა ურემში, ჩაიდო ჯიბეში მოწმობა და გასწია გუდაუთისაკენ. თურმე ამ ვაჟბატონს წინა კვირაში ერთ სოფელში კამეჩები მოეპარა და ეხლა უნდოდა გაესაღებინა ალალ-მართალ საქონლად, მაგრამ, დახე მისს უბედურებას: გზაზე მდევარი დაეწია, დაიჭირეს და თავის ამხანაგიანად ციხეში უკრა თავი. მოწმობა კი გამომძიებელს გადაეცა. დამნაშავე მამასახლისთან მქონდა ამის შესახებ ლაპარაკი; ის თავს მართლულობდა: ამ მოწმობით ქურდობა გამოვააშკარავეო.

სწორედ, რომ სოფლად ყოვლად შეუძლებელი იქნება ცხოვრება, თუ კიდევ ასე გაგრძელდა ქურდობა, თუ აღარ აღაგმნენ ქურდ-ბაცაცები. დროა ამაზე იფიქრონ და რამე ღონე მიიღონ, ვისგანაც ჯერ არს.

ჭამუთ-ბეგი.

სასამართლო

I

ამ წლის 28 ივნისს, ღამით, ტფ. მცხოვრები ალექსანდრე კანდიროვი პოლიციის მე-9 ნაწილში ზაქარია ჰინჰარაძის დუქანში მისულა სხვებთან ერთად სავახშმოდ. რამდენისამე ხნის შემდეგ, როგორც ეს კანდიროვმა სასამართლოშიაც განაცხადა—ჰინჰარაძის დუქნიდან გამოსვლის დროს მათ შეხვედრია გორის მაზრის სოფ. ოსეთის მცხოვრები კონსტანტინე ცოტნიაშვილი და უთხოვნია მისთვის სესხად ერთი მანეთი; კანდაროვს უარი თქვამს—არა მაქვსო, მაგრამ ცოტნიაშვილი არ მოშვებია, ათი შაური მაინც მასესხეო; რადგანაც კანდინოვს არც ეს ფული ჰქონია, უთქვამს: წამოდი, ეგებ ვინმემ მასესხოს და მოგცემო. ცოტნიაშვილი გაჰყოლია კანდინოვს, რომელსაც მიუხვევია ნაშუაღამევის ორს საათზე ალექსი ჩაჩანიძის დუქანში, გაუღვიძებია იგი და უთქვამს—ძალიან საჭიროება მაქვს და ერთი მანეთი მასესხეო; ჩაჩანიძეს უარი უთქვამს; კანდაროვი მას მაინც არ მოშვებია, დაუწყია ხვეწნა, 10 შაური მაინც მასესხეო, მაგრამ ჩაჩანიძეს გადაჭრილი პასუხი უთქვამს, ფულს ვერ მოგცემო. მაშინ წაჰქომაგებია კანდაროვს ცოტნიაშვილი, რომელიც ასეთი უარისაგან ისე გაჯავრებულა, რომ ალექსი ჩაჩანიძე დაუჭრია ჯიბის დანით ყელსა და ბეჭში; ჩაჩანიძეს რომ შეუჩყვია, კიდევ ესენი ხეირს არ დამაყრიანო, ამოუძვრია რევოლვერი და ორჯელ უსროლია; კანდაროვი და ცოტნიაშვილი გაქცეულან. ერთი თვის შემდეგ ცოტნიაშვილი დაუჭერიათ და პასუხის გებაში მიუციათ, როგორც გულმოსულობის დროს კაცის მოკვლის განზრახვის ჩამდენი.

ეს საქმე განიხილა ტფილისის ოლქის სასამართლომ გუშინ, 28 ნოემბერს, და დამნაშავედ იცნო კონსტანტინე ცოტნიაშვილი გულმოსულობის დროს კაცის მოკვლის განზრახვაში და ყოველივე განსაკუთრებულ უფლებათა ჩამორთმევით გარდაუწყვიტა მას ერთის წლითა და ნახევრით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა.

II

ამავე დღეს ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე ტფილისის მაზრის მცხოვრების რაჟდენ ილარიონის ძის მამაცაშვილისა, რომელსაც ის დანაშაულობა ბრალდებოდა, რომ მას ამ რამდენიმე თვის წინად, სხვა პირებთან ერთად განუზრახავს ტფილისის მოქალაქის მინა სერგეის ძე სარქისოვის დუქნის გატეხა, რისთვისაც მისულა ნაშუაღამევს რკინის კეტით და სხვა იარაღებით და დაუწყია კარებიდან რკინის მოაჯირის გამოღება. სწორედ ამ დროს ქურდებს წასტეხია თავს პოლიციელები, რომელთაც მარტო მამაცაშვილის დაჭერა-ღა მოუხერხებიათ, სხვანი კი გაქცეულან და არ იციან თუ ვინ იყვნენ. მამაცაშვილმა თავი დამნაშავედ აღიარა, მხოლოდ ამხანაგების შესახებ განაცხადა—არ ვიცნობ, ვინ იყვნენ ჩემთანაო. სასამართლომ გადაუწყვიტა რაჟდენ მამაცაშვილს ზოგიერთ უფლებათა ჩამორთმევა და 8 თვის ვადით ციხეში დაპატიმრება.

რედაქტორი **ალ. ჭყონია.** გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 23 ნოემბერს ვექსელის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	93,75
ბერლინზე 100 მარკაში	45,95
პარიზზე 100 ფრანკში	—
ლონდონზე ჩეკები	94,65
ბერლინზე „	46,30
პარიზზე „	37,65
ბირჟის დისკონტი	5½—7%
4% სახელმწიფო რენტა	96⅛ გაყიდ.
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამ. ბანკისა	—
5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	470½ „
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	348½ „
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	243¾ მყიდვ.
3½% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა	— „
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ	88½ გაყიდ.
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის. 6% გირ. ფურცლ	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისის).

ა) **ტფილისიდან** ბათუმისაკენ: 1) საფოსტო მატარებელი გადის საღამოს 7 ს. 45 წ. (8 ს 52 წ.); 2) სამგზავრო გადის დილის .9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.).

ტფილისიდან ბაქოსაკენ: 1) სწრაფი მატარ. გადის (მხოლოდ პარასკეობით) ნაშუადღევის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.); 2) საფოსტო—გადის დილის 11 ს. 47 წ. (12 ს. 45 წ.); 3) სამგზავრო—გადის საღამ. 9 ს. 36 წ. (10 ს. და 34 წ.).

ტფილისიდან ყარსისაკენ: საფოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ტფილისიდან ბორჯომში: სამგზავრო მატარ. გადის შუადღის 1 ს. 44 წ. (2 ს. 42 წ.).

ბ) **ქუთაისიდან** ბაქო-ტფილისისაკენ 1) გადის შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.); 2)—შუაღამის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.).

ქუთაისიდან ბათუმისაკენ: 1) მატარ. გადის ღამის 3 ს. 32 წ. (4 ს. 30 წ.) (ამავე მატარებლით შეიძლება შორაპნამდე მიმავალ მატარებლით წასვლა რიონიდან); 2) გადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

ქუთაისიდან შორაპნამდე—გადის ნაშუადღევის 3 ს. 30 წ. (4 ს. 28 წ.).

გ) **ბათუმიდან** ტფილისამდე და ბაქომდე: 1) საფოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო მატარ. გადის დილის 8 ს. 58 წ. (9 ს. 56 წ.).

განცხადებანი

ტფილისის საქალაქო საბჭო ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ 30 ნოემბერს, ნაშუადღევის 12 საათზე, მის თანადასწრებით მოხდება საჯარო ვაჭრობა, რომლით გაიცემა იჯარით მოკირწყვლა პავლოვსკი ქუჩისა 597 31 ოთხ-კუთხი საჟენზე. 2603 მან 11 კაპ. ღირებულებისა.

ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, დაწვრილებითი პირობების შეტყობა შეუძლია გამგეობის აღმშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3-მდე. (Б 3—3)

ტფილისის ქალაქის

გამგეობა

ამით აცხადებს რომ ამა წლის 1 დეკემბერს, დღის 12 საათზე, გამგეობის დარბაზში დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა.** ვაჭრობით მიიცემა გაკეთება ბეტონის მილისა, სიგრძით 68,00 საჟენი, სიმაღლით 18 ვერშოკი, სიგანით 12 ვერშოკი, ტატიანის ქუჩაზე, თუმანოვის სახლამდე, 1500 მანეთისა.

მსურველთ შეუძლიანთ გასინჯონ პირობები გამგეობის აღმშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე, უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. (3—б—1)

Открыта подписка на 1902 годъ
НА ЕЖЕМѢСЯЧНЫЙ ЖУРНАЛЪ
ФОТОГРАФИЧЕСКОЕ ОБОЗРѢНIЕ.
Ред.-изд. **А. ф. РЕЙНЕ.** Москва.
Органъ Русскаго Фотографическаго Общества въ Москвѣ.
Ноябрь 1901. Изданія годъ VII-й. **Ноябрь 1902.**

Статьи по всѣмъ отраслямъ фотографіи и ея примѣненій, оригинальныя и переводныя.
Рефераты, читаемые въ собраніяхъ Русскаго Фотографическаго Общества въ Москвѣ.
Иллюстраціи и рисунки въ текстѣ.
Сообщенія о дѣятельности русскихъ и иностранныхъ фотографическихъ обществъ.
Отдѣльныя художественныя приложенія и интернаціональные образцовые портретные снимки, печатаемые съ негативовъ на бромосеребряной бумагѣ.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА: на годъ—5 руб., на полгода—3 руб. съ пересылькой. Отдѣльные нумера—1 руб.
Подписка принимается въ конторѣ редакціи: Москва, Кузнецкій мостъ, № 3, и во всѣхъ книжныхъ торговляхъ и складахъ фотографическихъ принадлежностей по всѣй Россіи.
РЕДАКЦІЯ: Москва, Большая Тверская, соб. д.. № 25.
Оставшіеся отъ прошлыхъ годовъ полные экземпляры журнала „Фотографическое Обозрѣніе“ можно получать въ редакціи по слѣдующимъ цѣнамъ: Изданія годъ I—3 руб; II и III по 4 руб.; IV, V и VI по 5 руб. съ пересылкою. (З. з—1)

Открыта подписка на 1902 годъ, VII годъ изданія,
НА ЕЖЕНЕДѢЛЬНУЮ ГАЗЕТУ
„КАВКАЗСКОЕ СЕЛЬСКОЕ ХОЗЯЙСТВО“
органъ Императорскаго Кавкавскао общества сельскаго хозяйства. Газета выходитъ по четвергамъ, безъ предварительной цензуры,
ПО СЛѢДУЮЩЕЙ ПРОГРАММѢ:

1. Руководящія статьи по техническимъ и экономическимъ вопросамъ сельскаго хозяйства Кавказа, 2. Популярныя статьи (оригинальныя и переводныя) по полеводству, молочному хозяйству, садоводству, виноградарству и виноделію, шелководству, лѣсоводству, техническимъ производствамъ и проч. 3. Хроника и корреспонденціи. 4. Отчеты хозяевъ о произведенныхъ ими въ своихъ хозяйствахъ опытахъ и наблюденіяхъ. 5. Обзоръ литературы, русской и иностранной, по вопросамъ, относящимся къ Кавказу. 6. Сельско-хозяйственныя статистическія и рыночныя свѣдѣнія о производствѣ и потребленіи сельскохоз. продуктовъ, о видахъ на урожай, о цѣнахъ на продукты; тарифы. 7. Правительственныя распоряженія. 8 Протоколы, доклады и отчеты общества и его органовъ. 9. Критика и библіографія. 10. Вопросы и отвѣты. 11. Сельско-хозяйственный календарь 12. Домоводство. 13. Справочный указатель. 14. Смѣсь. 15. Метеорологическія наблюденія. 16. Объявленія..

ЗАДАЧА ГАЗЕТЫ заключается въ установленіи болѣе живой и тѣсной связи между обществомъ сельскаго хозяйства и хозяевами Кавказа, съ цѣлью, во первыхъ, совмѣстной разработки сельско-хозяйственныхъ вопросовъ Кавказа и во вторыхъ, распространенія среди населенія необходимыхъ сельско-хозяйственныхъ знаній.

Въ отдѣлѣ „Вопросы и отвѣты“ газета, при содѣйствіи спеціалистовъ, будетъ своевременно давать хозяевамъ отвѣты на тѣ вопросы, съ которыми они будутъ обращаться въ редакцію или общество сельскаго хозяйства.

Подписная цѣна съ доставкой и пересылкой: на годъ—4 р., полгода—2 р., ¼ года—1 р. и 1 мѣсяцъ—40 к.
Подписка принимается въ Тифлисѣ. въ бюро Импер. Кавк. общ. сел. хоз., Барятинск. ул., соб. домъ
(З. 3—1) Отвѣтственный редакторъ **А. А. Калантаръ.**

Изданія годъ ПЯТЫЙ
Открыта подписка на 1902 годъ
НА ЕЖЕМѢСЯЧНЫЙ ЖУРНАЛЪ
Изданія годъ ПЯТЫЙ
„Судебныя Драмы“
издаваемый въ Москвѣ подъ редакціей Л. Ѳ. СНЕГИРЕВА
12 книгъ въъ годъ съ пересылкой 4 руб.

Разсрочка только чрезъ контору: при подпискѣ 2 руб., къ 1-му апрѣлю 1 р. и къ 1 іюню 1 рубль.

Кромѣ замѣчательныхъ процессовъ, судебныхъ ошибокъ, процессовъ дня, біографій (будутъ продолжаться „Великіе адвокаты XIX в.“), авто-біографій, мемуаровъ, рѣчей ораторовъ, журналъ „Судебныя Драмы“ по дополненной программѣ будетъ помѣщать историческія изслѣдованія, очерки, разсказы, также статьи по антропологіи и соціологіи въ связи съ уголовнымъ правовѣдѣніемъ. Въ 1902 г. Редакція надѣется помѣстить въ приложеніи къ журналу трудъ покойнаго архимандрита о. Досиѳея „О богомерзкой и богопротивной скопческой ереси“, которую онъ могъ изучать и наблюдать во очію, такъ какъ подъ его начало въ то время ссылались въ Соловецкій монастырь и скопцы, которые, какъ видно изъ имѣющихся въ редакціи документовъ, продолжали и тамъ не только исповѣдовать, но укрѣплять и распространять свою ересь.

Подписная цѣна на журналъ остается прежняя 12 кн. въ годъ съ пересылкой 4 руб.

Въ 1901 г. между прочимъ напечатано: Фарисейскій пророкъ.—Тайны остроконечной башни.—Завѣщаніе герцога Бурбонскаго.—Ритуальные процессы: Убійство въ Коницѣ съ рисунками. Кровавое убійство въ Полнѣ (дѣло Гильснера).—Лютерическое дѣло. Рѣчь Плевако.—Процессъ Вѣры Геловой.—Ла-Ронсьеръ съ рисунками.—Іезуиты (процессъ Жирара-Кадьеръ).—Процессы дня: Самойлова, Шалаевыхъ, Крюковскаго, Растоскуева, убійство Донберга, дѣло Блондеса, ограбленіе почты, дѣло Шатуновскаго и др. Рѣчи ораторовъ: Кн. Урусова, Плевако, Шубинскаго, Андреевскаго, Маклакова, Тесленко, двѣ рѣчи Ф. Дюпена.

Въ приложеніи: Дѣло о безпорядкахъ на Сормовскихъ заводахъ, Викула Морозова «Русскій провиданс“ и „Маріупольскаго общества“.—Убійство Сарры Беккеръ (1-е и 2-е разбирательство).—Мемуары Дрейфуса.—Великіе адвокаты XIX в. (біографіи съ портретами).

Иногородные адресуютъ: Москва, Остоженка, д. Снегиревой.
З(. 3—2) Редакторъ-Издатель Л. Ѳ. СНЕГИРЕВЪ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 28 Ноября 1901 г.
ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართ. ამხანაგობისა.